

ISSN 0182-500 X
გაერთიანებული
საბჭოთაოცნებები

გაერთიანებული



11-12

1992



პრემიუმების შესახებ პიესა

მოქმედი პირები:

ნიკო.
ანდრო
ბეჟანი
სტელა
დათო
გურამი, ძია სურენა, „მუზეზი“, „უფ-
როსენი“

ორი ფანჯრით განათებული ერთ-
ოთახიანი ბინა. მაგიდა, სკამები. კედ-
ლებზე: ძველებური საათი, სურათები,
პატარა სარკე, ტაბტი, სავარძელი, კა-
რადა. ფანჯარასთან სპილენძის ქოთან-
ში გამხმარი ფოთლები და ყვავილე-
ბია ჩაწყობილი. ოთახში არეულობაა:
თიქმის ყველგან წიგნები, ყურნალები
და ცარიელი ბოთლები აწყვია. ტაბ-
ტთან გაზეთები ყრია, დგას ბორჯომის
ბოთლი, საფერფლე. ტაბტზე ზის ნი-
კო. ადრიაინი დილაა ნიკო ახალი გაღ-
ვიძებულია.

ნიკო. რადგან... მთელი ღამე საფერფ-
ლის საამო არომატით ვივსებდი ფილ-
ტრებს.

(საფერფლე მაგიდასთან მიაქვს. რა-
ღაც ფურცელს შენიშნავს. კითხულობს)
...მკვდარივით დაგეძინა... წა-ვე-დი!..
არ ღავიწყდეს... (ვერ იხსენებს) ეს
რაღაა?

(საფერფლეს ფურცელში ჩაყლის,
მაგიდაზე მდგარი ბოთლიდან მოს-
ვამს ჩარჩენილ ბორჯომს და სიგა-
რეტს მოუკიდებს. მერე ქაღალდის
გუნდას ფანჯრიდან მოისვრის)

პირველი საჩუქარი ძია სურენას...
(მცირე პაუზა) სიამოვნებით ვეწევი
სიგარეტს, მიუხედავად იმისა რომ
მთელი მსოფლიოს ჯანდაცვის თითქმის
ყველა სამინისტრო და, რაც მთავარია,
ალა პუგაჩოვა დაეინებით მომიწოდებ-
ენ, თავი დავანებო ამ სიამოვნებას...
(პაუზა) დილის სიამოვნებანი, საღამოს
სიამოვნებანი, საერთო სიამოვნებანი,
საბავშვო სიამოვნებანი, სადილო ანუ
საუფროსო სიამოვნებანი, ნაციონალუ-
რი სიამოვნებანი, საგალაქტიკათაშო-
რისო სიამოვნებანი, სამხედრო სი-
ამოვნებანი, განსაზღვრული სიამოვნ-
ებანი, გენოციდური სიამოვნება-
ნი... (ამ ფრაზებს წარმოთქვამს
სწრაფად და სხვადასხვა ინტონაციით)
(მონოლოგს აწყვეტინებს ბუზის ბუ-
ილი).

პირველი ბუზი — პირველი მერც-
ხალივითა! აი რა თქვა არყით შემ-
ლილმა ნოემ. -
(გაზეთს გაკეცავს და რამდენჯერმე



უპროდ გაიქნევს. მერე კედელს და-
კარავს)

მერცხალო მათხოვე მაკრატელი,
დასძინა მანვე... კარგია ასეთი სიკვ-
დილი. უეცარი, მოულოდნელი, გარ-
დაუვალი... (მცირე პაუზა) კბილები —
ავი ღიმილი, თვალის ჩაკერა — სიკვ-
დილი... ასეთი სიკვდილი არავისზე
მოქმედებს უარყოფითად, არც მკვლე-
ლზე და არც მსხვერპლი განიცდის
სინდისის ქენჯნას... თუ პირიქით... (პა-
უზა)

(გაზეთს გაშლის და უგულოდ გადახე-
დავს)

მაგრამ ზუზი კი, პრესამ იმსხვერპლა
მე რა შუაში ვარ. პრესა და სტრესი
სტრესი და პრესი ლოგიკურია...

(გაზეთს მიაგდებს. კიდევ მოსვამს
ბორჯომს, თან სარკეში იხედება) რა
გინდა, ძმაო, ამ დილით ზომიერადა
ვარ შეშლილი, კარგია, ზომიერების
გრძნობა — მთავარი გრძნობაა! უნ-
და არსებობდეს ზომიერების გულზე
ჩამოსაკიდი პატარა საზომი. დახედავ
და იმოქმედებ, იმოქმედებ და დახე-
დავ... ვინ ახსენა გუშინ ბარომეტრი?
(დაფიქრდება. თან სარკეში საკუთარ
თავს უყურებს. შემოდის სტელა)

სტელა. ანდრო ჩემი ბარომეტრია!
(გადის)

ნიკო. (ახსენდება) პო, სტელამ.. ეპ,
ანდრო, სტელას ძუძუებში ჩაქარგულ-
ლო (წარმოსახულ ძუძუებს ზელში და-
იკერს) საბრალო მოარულო ბარომე-
ტრო...

(შემოდის ანდრო)

ანდრო. სცელა ვარდისფერი ზრა-
ხვები..

(ნიკო არ იცდის ფრაზის დამთავრე-
ბას. ანდრო გადის)

ნიკო. ერთი მაკოდინა, ანდრო, სად
დაიზრახვები ამ დილით?.. მაგრამ, რა
არის ადამიანი ადამიანისათვის? მგე-
ლი? არწივი? აქლემი თუ მაჩვი იქნებ
ზღვის ვარსკვლავია, კარიბის ზღვაში მა-
ჩვანს უმოწყალოდ რომ ანადგურებს?
აი, რისი ცოდნაა ამ დილით მთავარი..

(მოულოდნელად მთელი ხმით შე-
მოსძახებს)

თეთრი ზრახვები, შვეტიცხეცხეცა
შენ კი, პატარავ, დაიზრახვები...

(უეცრად გამოერკვევა, ოთახს მო-
ათვლიერებს, თითქოს პირველად შე-
ნიშნავს ამ არეულობას. ფანჯარას მი-
ხურავს)

წვიმას ამირებს, ამას ცისგან არ მო-
ველოდი...

(მკვეთრად შემოტრიალდება და
თითქმის იკივლებს)

რა დაალაგებს აქაურობას?!

(ულონოდ ჩაეშვება საეარქელში. შე-
მოდის დათო. გაუპარსავია შვეი სა-
თვალე უკეთია, ჩანთა და ფოტოაპა-
რატი აქვს მზარზე გადაკიდებული. ხელ-
ში სხვადასხვა საგნები უჭირავს. უჭი-
რავს აგრეთვე უზარმაზარი ბოთლი —
„არაყი“ აწერია ბოთლს. შემოსვლის-
თანავე დააწყობს საგნებს და ა. შ.)

დათო. (მულტფილმის კილოზე) აი,
მეც მოვედი..

ნიკო. ამ დილაუთენია... ტოროლა
ხარ, ბიჭო? საიდან მოდიხარ?

დათო. ეს წუთია ჩამოვედი, ვიფიქ-
რე, დაეურეკავ მეთქი, მაგრამ...

ნიკო. (აწვევტიწენს) ძველად ნორ-
მალური ადამიანები ჯერ შინ შეივ-
ლიდნენ ხოლმე...

დათო. ძველად ნორმალური ადამი-
ნები იმასაც ამზობდნენ, სტუმარი ღვთი-
სათ...

ნიკო. კარგი, ღვთისა ხარ, დაჯექი.

დათო. ესეც ასე! (დაჯდება, მაგრამ
იმწამსვე წამოდგება) ნახე, რა ჩამო-
ვიტანე, მოდი ერთი, მომეხმარე.

(გაშლიან ტრანსპარანტს, რომელსაც
მსხვილი ასოებით აწერია:

ლენინურ-საზოგადოებრივი კვების
კვირეული 15—22 მაისი!) ჰა, როგო-
რია?

ნიკო. (უგულისყუროდ) ჰოო, ასე-
თი რამე ჯერ არ შემხვედრია...

დათო. (ტრანსპარანტს ასვევს) შენ
რა გესმის?

ნიკო. რა უნდა მესმოდეს? ისე, რო-

გორ თქვობ, ამ დღეებშია ძალიან მკირდებოდა ეს ინფორმაცია.

დათო. ეს არ მინტერესებს, მაგრამ ვიცი, 1400 წელიწადის შემდეგ აღმოჩნდა, ძალიან ბევრია, შენ რას იტყვი? (ნიკო არ პასუხობს დათოს კითხვადან არყის ქიქებს. გამოაღვებს და ბოთლს გახსნის).

დათო. ეს თუ მოშველის, სამი დღის შემდეგ მელია ვარ... დაგისჯის თუ, თავს გაუფრთხილდები? (არაყს ჩამოაშხვს) წყალი მინც შემოიტანე...

ნიკო. დამისხია... ბევრი ხელი მხინც დაგებანა... სადგურის დაკიდვით რაღაცეების სენი დამეფრთხილდა... თანაც წყალსაც შემოიტანე...

დათო. (ყალბად) მინც არ მოშველის, ტანსაცმლიანად და ყველგანად გაყენებოდი ვარ... (მცირე ხანის შემდეგ) ტა ხნით ამიტანე, მერე მინც მთელ და როგორმე მივხედავ თავს... გავიმარჯოს! (დაღევს) მისაყოლებელი არ გაქვს რამე?

ნიკო. შენი ცოტა ხანისაა... უკვე 1400 წელი გრძელდება...

დათო. (კიდევ დასაშხვს) მითუმეტეს... რა ლამაზი ყველაზეა?

ნიკო. ყვეალები მ ყოველ დღე ფოთლებს ხელი არ ახლან შვირდება.

დათო. ეს ამ უნდა... (ყვეალებიან ქოთანს დასაშხვს) შენ მიღამს, მერე მისაყოლებელი ხსნის და იბიექტებს... გარდა... (ნიკო დათო ფანჯრიდან გადის და ნიკოს საკმაოდ ხმაში დგამს).

ნიკო. ვიღაც „როცა“ გეგმობს...

ნიკო. ჩემად ბევრს (ფანჯრიდან გადაიხედავს და ხელს დაუქნევს) როცა...

დათო. ბევრნი უნდა... (ნიკო არის ერთი...)

დათო. მინც?

ნიკო. ძალიან კარგი პოეტია... (შემოდის ბევანი, მისწრაფებ...)

ბევანი. აღრიანად წამოფრთხილდები...

ეს რომ მცოდნოდა წინა დღე გსტემრებოდა...

ბევანი. (თითქოს ახლა შენთანაა) დაუყვებოდას უღებს ფოტოს) ფოტოგრაფია — ფაქტია ფაქტა — ჯიუტია თქვენ გიყვართ ყვეალები განა? ხო, კარგია, ლამაზებია... ყვეალები და ხტუნები... კრუანტელს წარმოქმნიან აღმნიანის უსწორმასწორო ზედაპირზე, შიგნითაც... ბებერი კრუანტელი, ეს რომ უკვე პოეზიაა...

(დათო ყურადღებას არ აქცევს)

ნიკო. (საუბარი სხვა თემაზე გადაქვს) დაჭეო, ბევანი... ნახე რა განაზო? (ტრანსპარანტს გაშლის)

ბევანი. ამასაც ჰქვია თავის სახელს, ჩემო ნიკო, ეს არის შთამომავლობითი იდიოტიზმი... კარგი, წავედი, ძალიან ვარ...

ნიკო. მოიცადე, ცოტაც მიამატე, რა ვაჩქარებს...

ბევანი. არა! წავედი!

ნიკო. (უხალისოდ) გაგაცილებს... (ნიკო კარმდე მიაცილებს ბევანს, დათო თავიდან ახვევს ტრანსპარანტს)

დათო. (ნიკოს გასცილებს) ძალიან კარგი პოეტია! ასე უფროდ ითიშებიან მუზის მსახურები, ბიკო?

(ისმის ხელი მუსიკა შემოდის მუზა, როგორც მოდების ჩვენების დროს მანეკენი რამდენჯერმე შემოტრიალდება, ტანის რხევით ჩაივლის და შეჩერდება)

ნიკო. ეს ბევანის მუზაა!

(შემოდის მეორე მუზა, ისიც პირველის მსგავსად ჩაივლის და შეჩერდება. შეიძლება „მუზები“ ერთმანეთსაც გამოელაპარაკონ)

ეს ალბათ დათოსაა ან ჩემი...

(შემოდის მესამე მუზა, ხნიერი, მაგრამ პატარა გოგონასავითაა გამოწყობილი, ისიც ასევე ჩაივლის, მერე ხელს გამოსდებს პირველ ორს და სცენიდან გაიყვანს)

დათო. რა რაღა უნდა?

დათო. რა თქვი?

ნიკო. ეწყინა... გაიგო „როცა“ — რომ თქვი.

(არაყს დალევს. კარადიდან კანფეტებიან ვაზას გამოიღებს)

დათო. ვერ გაიგო. (ვაზიდან კანფეტს ამოიღებს, ეკვის თვალთ შეხედავს და უკანვე ჩაადგებს) თუ გინდა ერთ ვაცვეთილ, მაგრამ ზუსტ ფრაზას გეტყვი...

ნიკო. ვიცი, რასაც მეტყვი: მზეში შრომას ჩრდილში წოლა ჯობიაო, ანდა მსგავს ავლანურ სიბრძნეს..

დათო. სახალხო კონტროლის დონეზე დაშვებული, ერთი ჩვეულებრივი ქაჩია ეს შენი ბეჭანა...

ნიკო. (კახუიად მოუქცევს) შენ ნაღდი ჭალაქელი ბიჭი ხაარ, კუსკი!

(დათო ვადის. ნიკო ტახტზე ჩამოჯდება. გარინდებულია. შემოდის ანდრო, გამუდმებით ეწევა სიგარეტს და მოძრაობს)

ანდრო. მაშინ ბინა მქონდა ნაქირავები, ზომ ვახსოვს, სახლიდან რომ ვიყავი წამოსული, პატარა ცივი ოთახი და საერთო სამზარეულო.. მოკლედ, გადასარევი იყო. ერთი ციყვივით ბეროკაცი მყავდა მეზობლად, კუილს ვედარ იკავებდა საწყალი. ყველა სიკეთესთან ერთად, ღამ-ღამობით კიქაში კბილებს აწყობდა ხოლმე. რაღა თქმა უნდა, კიქას სამზარეულოში ყველაზე გამოსაჩენ და ხელმისაწვდომ ადგილას დგამდა, პირდაპირ მაგიდაზე. ერთხელ, აღარ მახსოვს, რას ვაკეთებდი, მგონი ჩაის ვადულებდი, ჩემი სატრფო შემოქროლდა სამზარეულოში და სანამ რამეს მოვიფიქრებდი, სულმოუთქმელად გადაკრა ბერიკაცის...

ნიკო. კბილები...

ანდრო. ჰო, ის წყალი დალია. ისე დავიბენი, ვერაფერი ვერ მოეასწარი, თან შეცინებოდა, თან... ცუდად გავხდი.

(შემოდის სტელა. შემოაქვს ლანჯრით ყავის ფინჯნები და კიქით წყალი. ბიჭები ისტერიულად იცინიან)

სტელა. (ყავის ფინჯნებს არიგებს) რა გაციუნებთ?

ნიკო. საშინელ ამბებს მიყვება პაპამისის კბილებზე.

სტელა. რა შეაშია პაპას კბილებზე? ისე, შე ბებიაშ გამზარდებულნი ანდრო. ერთ დღეში ვეფხურდებოდაოლონდ შე ბებიაც კი არა მყავდა.

ნიკო. (სერიოზულად) რას ამბობ, მე კარგად მახსოვს ბებიაშენი.

ანდრო. ის ბებიანების და იყო, გულქვა და ბოროტი ჭალი, სახლ-კარი წამართვა და გამომაგდო...

ნიკო. ეგეთი უქნარა რაღა ხაარო...

ანდრო. შე კი წილებზე ფეხს ვიდგამდი...

ნიკო. ცხრა წლის ბავშვს ცხრაპირი ოფლი ვადაგდიოდა...

ანდრო. ტოლმეგობრებისკენაც მიწევდა პატარა გული...

ნიკო. ბებინაცვალი კი...

ანდრო. პაპინაცვალთან ერთად...

ნიკო. ძროხაში, ძალით... მაგრამ, ის ახლა აქ არის, ჩვენთან, რა სიხარულია, ღმერთო, მრავალტანჯული, ფერფლისაგან აღმდგარი ადამიანი იმდენ ხანს იცოცხლებს ჩვენს გვერდით, რომ საბოლოოდ თავს მოგვაბეზრებს და, რაც ყველაზე საინტერესოა, მას ასეთი სიმართლე არც ახლა აღვლევებს, არც მაშინ ამინებდა, მერე კი მითუმეტეს..

(შემოდის დათო)

ანდრო. სამაგაეროდ ჩემს წანწალს ბოლო მოელო! შე ზომ ეს ჭკვიანი ქალი ვიპოვნე. სტელა, გაიღიმე ჭკვიანურად!

სტელა. აჰა, ჩემო კარგო. (იღიმება)

ანდრო. (ნიშნისმოგებით) ხედავთ? გვირგვინოსანო!

სტელა. გვირგვინოსანო კი არა, ჩემო კარგო მეთქი...

ანდრო. (უფრადლებას არ აქცევს) მო, რჩა, მეფე შეყვარებულია!

ნიკო. (არაყს ჩამოასხამს) შეყვარებულთა შეყვარებულ მეფეს საღამო!

დათო. „ბოყე ხრანი კარალევი“! ასეთი რუსული გამოთქმაცა აქვთ ინგლისელებს (სვამს)

ანდრო. ახლა ჩვენ ერთად ვიბრძოლებთ ამ დალოცვილ და მადლიან მიწაზე... (იბუტებს სტელას)

დაელით! (დათოს) შენც გაგიმარჯოს! შენც ბევრი იხეტიალე, ერთად ვიხეტიალეთ... შენ წავსადგურიც კი არა გაქვს...

დათო. (გალიზიანდება) შენ ხომ გაქვს წავსადგური, პირდაპირ იქ შესულიყავი, თუ კონტრაბანდა მიგაქვს და „ტამოყნის“ გეშინია?

ანდრო. არც საკუთარ და არც ნეიტრალურ წყლებში არაფრისა მეშინია, გინდაც ეს კონტრაბანდა შენხაის პორტის „პრიტონიდან“ მყავდეს წამოყვანილი... (სევამს)

სტელა. (დათოს დაადებს მუხლზე ხელს) რა სხვანაირი მუხლები გაქვთ ბიჭებს. შენ ჩემს ძმას მაგონებ, ისიც ასეთია...

დათო. (მუხლს გაინთავისუფლებს) მაინც როგორი?

ანდრო. (წაზად) რა-ღაც-ნა-ი-რი.
სტელა. მე ნახევრად ბერძენი ვარ.. ჩემი ძმა ციხეში ზის...

ანდრო. (ნიშნისმოგებით) სამაგიეროდ, ჩემი ძმა უხელოდ უკრავს როიალს...

დათო. (ირონიით) და ისე სწრაფად დარბის, როგორც გეპარდის ფიტული, არა?

ნიკო, (თითქმის ყვირილით) გეყოფათ, შორჩით ზაზარს!

(ნიკოს გარდა ყველანი გადაიან. შემოდის ბეჟანი)

ბეჟანი. წავედი, ნიკუშ, ძალიანა ვარ..
ნიკო. შინ წადი, გამოიძინე...

ბეჟანი. ხო, წავალ... მაგრამ რა არის იცი, სულ შეჩვენება, რომ ჩემი ცხოვრება ანტიცხოვრებაა... გამუდმებული შიში დამჩემდა მახლობლების გამო. გაუცხოებინებელი. კარს არ ვუღებ, მაგრამ გამუდმებით თავს მახსენებს.. მე კი ამასობაში, გა-მუდ-მ-მ-ბით ყურს ვუღებ სხვების, ჩემების, გულსტკივილებსა თუ სიხარულებს... (გაცხარდება) იქნებ მეც არ მიინტერესებს მათი ყოფა, ვნებები და ამაო, არასულერი სათავგადასავლო ჩივილები... რას იზამ. ძმაო... არა! „რას იზამ“ ის წ. „მნათობი“. № 11-12.

სიტყვა არ არის, რომელმაც ახლა შეება უნდა მომიტანოს... ყველაფერი ერთნაირად მიჭირს... (ხედავს, რომ ყალბად) ბრმა ჩიტივით ვცხოვრობ უცხო სახლებში და უცხო ადამიანებში, ცოტ-ცოტას ყველაფერს გავუსინჯე გემო: გულს, ფილტვებს, ღვიძლს... ვერ ვხედავ, მაგრამ ხომ ვიცი, უკან რასაც ვტოვებ — ეკსკრემენტების თეთრ, უწყვეტ და საზიზღარ კვალს! როგორ ფიქრობ, მალეღებებს ეს ყველაფერი? სულაც არა, ძმაო! სულ ერთი არ არის, სად ამოჰყოფ თავს, სად მიგედები, სად წაებეტები?... ყველაფერი ერთნაირი ნაგავია (სიჯარეტს მოუკიდებს) უბრალოდ, ზოგი საინტერესოა, ზოგიც — არა...

ნიკო. (დაღლილი ხმით) ბეჟან, თუ გიყვარდე...

ბეჟანი. (აწყვეტილებს) მაყადე, რას მამშვიდებ, თუ ძმა ხარ, თავს თუ იმშვიდებ არ ვიცი, მე როგორც უნდა ისე მოვეყვები... ერთხელ, სკოლის ეზოში ფეხბურთს ვთამაშობდით.. პატარები ვიყავით, პირველ კლასში, იქნებ მეორეშიც. მე კარში ვიდექი... (იხსენებს) შეიძლება არც ვიდექი... ერთი სიტყვით, ბურთი სადღაც გადავარდა, არა, კი არ გადავარდა, ცოტა მოშორებით დიდი ბიჭები. ისხდნენ და იქ მივორდა. ერთ-ერთმა ბურთს ფეხი დაადგა. მეც მივედი ჩვეულებრივად, ბუნებრივად, ველოდებოდი ბურთს როდის გადმოვივადებდა ის ახვარო... იმან კი ასე დამიქნია ხელი და როცა მივუახლოვდი, იცო რა მქითა? (პაუზა) ბიჭო, დედაშენი ბოზია? (პაუზა)

ღმერთო, ეს რა იყო... მაშინ არც ვიცოდი, რას ნიშნავდა ბოზია! მაგრამ მივხვდი, რომ რაღაც საშინელება მითხრა... გამოვბრუნდი, წამოვლასლასდი. ამხანაგებმა რაღაც უთხრეს, მეონი გამოემსარჩლენ, იმთაც შეაგინა... ასე იყო. უხ. მაგია... მომკლა, ბიჭო, ახლაც არ ვიცი, რას მერჩოდა, რა დავუშავე, როგორ სწრაფად

და მარტოვად მომისწრაფა ბავშუს სი-
ცოცხლე. მაგრამ, რაღა, მაინცადამაინც
მე მითხრა, რა იპოვნა ჩემში ასეთი...
ზოგჯერ ვფიქრობ, ალბათ მე თვითონ
კუბიძეე მკვლევლობისკენ მეთქი...
(უცებ რაღაცნაირად დააქცერდება
ნიკოს) თქმეთა... რას გიყვები შენ...
კარგი, წავედო... (გადის)

ნიკო. კარგია ასეთი სიკვდილი. უე-
ცარი, მოულოდნელი და გარდაუვალი.
ამბებებს შესანახი ბუდე ვარ, ამის დე-
დაც ვატირე, წარმოუდგენელი სისწ-
რაფით იესება ჩემი კილობანი.. ნიკო—
საინტერესო ამბების ყულაბა! ანდრო—
სტელას ბარომეტრი! არავეინ იცის, რო-
გორები დავეხეტებით. სწორია ბეჟა-
ნა, ჭერ დაგვბრიდავენ და მერე, ჩვენ
ჩვენივე თავზე და საერთოდ, ყველა-
ფერზე ნერვებმოშლილი, ყოვლად უაზ-
როდ დავფარფატებთ ღამის პებლებივით
ამ სანათლიდან იმ სინათლემდე, სანამ
საბოლოო სიბნელეს მივადწევდეთ,
ამაზე შორს წასვლის ტრაკიკ კი არა
გვაქვს... თანაც ამ სამყაროში ყველა-
ფერი ხომ „მე“-თი იწყება..

(შემოდის დათო, სტელას ანდრო)

დათო. მე ჩამოვედი.

სტელა. მე ვუყვარვარ.

ანდრო. მე ვიპოვნე.

ნიკო. მე დავიღალე. მე დავთვერი.
მე გაუგებდი. მე. მე. მე. მე.

(ტაბტზე წამოწვება)

ანდრო. არა, ბიჭო, მოგზაურობა აღ-
ვილიდან დაუძვრელადაც შეიძლება.
ასე მოგზაურობდა ჩემი კლასელი ირა-
კლი ნ. (ნიკოზე მიანიშნებს) დაჯდე-
ბოდა თავის ტაბტზე და წავიდოდაა...
ეგ, სად იკეთებ ახლა ახალ „ნაყოლ-
ებს“ ჩემო ირაკლი ნ?

სტელა (შესაჩნევად ნასვამია) კარ-
გი რა? ალბათ ერთი ჩვეულებრივი
ლოთია ის შენი ირაკლინ და მეტი
არაფერი.

ანდრო. ლოთია! მაგრამ ის გზა ლო-
თობამდე? ვარდა ამისა მან ჯველა კა-
ტორი ღირსება შეინარჩუნა, სიამაყე...

დათო. (აწყვეტილებს) „გორდი, კაქ
ხოლ!“

სტელა. „კუშეტებზე“ განსუშეტებ-
ბის დრო წავიდა.

ანდრო. სწორია, ჩემო ძვირფასო, ის
დრო წავიდა! იცი, რას იტყოდა ახლა
სვეგამწარებელი, ამაყი? საქვეყნოდ
ცნობილი მგელი? ჩემთვის სულერთია,
რა ფერის თვალები ექნება წითელ-
ქუდას, მთავარია, თვითონ იყოს... და
საერთოდ, ბებიაც თუ შედარებით ახა-
ლგაზრდა იქნება მიჩვენია, სადა მაქვს
ბებერი ძვლების კვანძის თავი. რაღა
ბებერი ბებია დავგვენეტია და რაღა
გაქვავებული, ციმბირული მამონტი.

დათო. სპილო „მამონტი“. წებო „მო-
მენტი“. აღამიანი „დომენტი“. ბიჭო,
ნიკოშ, რაღაც ვერა ხარ გუნებაზე,
ვინმეს ზომ არ ელოდებოდი? მეც კარგ
დროს შეგეკითხე, მაგრამ... არა, მარ-
თლა, თუ ვინმეს ელოდები, მითხარი,
ერთად დაველოდო.

სტელა. (შთაგონებით) ნიკოს თავი
დაანებეთ! ვერა ხედავთ, კაცი თავის
ფიქრებშია წასული? საშინელებაა, ამ
დროს კაცის გამოყვანა გარინდებიდან,
მისი დაბრუნება მიწაზე, სადაც ასე ხში-
რად უწევს ყოფნა... სამუდამოდ იქ
ჩასვლამდე. თავი დაანებეთ!

(ანდრო გაკვირვებით გადახედავს
ბიჭებს. მხრებს იჩეჩავს)

დათო. ეს ძალიან კარგი პოეტის ბე-
ჯანას დონის ნათქვამია!

ანდრო. ნიკოშ, დაყრუვდი, ბიჭო?

ნიკო. (ბრძნულად) ყრუ ვერასოდეს
გაიგებს, რა დიდი ხმაურის გამოწვევა
შეუძლია

დათო. ეგ სადაური სიბრძნეა ნიკო,
რაღაც არა ჰგავს ავღანურს.

სტელა. თავი დაანებეთ. (ნიკოს) გინ-
და რამეს გაგიკეთებ? ყავას მოგიდუ-
ლებ ან რამეს მოგიყვები... (ტაბტზე
ჩამოუჯდება)

ნიკო. (დაღლილი ხმით) არ მინდა.

ანდრო. სტელას უნდა სამაგიეროდ.

სტელა. მოდი, მე და შენ დავლიოთ
ნიკოშ, ძალიანა ვთხოვ.



ნიკო. სტელა, ძვირფასო, აქ არიან დათო და ანდრო...

სტელა. ანდრო კაციკამიაა.

ანდრო. რა თქმა უნდა, უძვირფასესო, მე კაციკამია ვარ, მაგრამ ხომ არ აჯობებს ხალხში კანიბალი ან ანთროპოლოგი დამიძახო? მაინც უცხო სიტყვაა.. ჩვენ ხალხს არ ესმის, მაგრამ უყვარს უცხო სიტყვები, შეიძლება პატრივისციემითაც კი განიმსჯელონ ჩვენს მომართ.

ნიკო. (ძალად გამოცოცხლებდა) კარგი, სტელა, დავლიოთ მე და შენ, (წამოადგება, მაგიდას მოუახლოვდება და სიგარეტს მოუკიდებს) მერე, რაც გინდა, მომიყევი, ყველაფერს გეფიცები, გულისყურით მოვისმენ, ოღონდ მე კოტა მეტს დავლევ შენზე (ორ ჭიქას შეაგებს) გაგიმარჯოს სტელა!

სტელა. გაგიმარჯოს! (დაღევენ)

ნიკო. (მცირე პაუზის შემდეგ) გისმენ, სტელა.

სტელა. (დაიბნევა) რა მოგიყევი?

ანდრო. ის მოუყევი, როგორ შემოგიცივედნენ კბილებამდე „შეიარაღებული“ ბავშვები და შენ როგორ ვაქცეპტურად გაუმკლავდი თუბოებით, ძუძუებით, საყრდენად, შენელა შენი არსენალით შეიარაღებული, როგორ იკბინებოდით და იკაწრებოდით და მერე როგორ არიდებდი თვალს საბრალს, შეცბუნებულ და გა-ნი-ა-რა-ღე-ბულ არასრულწლოვანებს..

სტელა. (წარმოუდგენელი ზიზღით) უხ, შე დამპალა... შე... მათხოვარი! (გაცოფდება, მაგრამ ეტყობა, არაფერს ვაძულებს არ ამირებს. ნიკო მაინც შავრად შემოხვევს ბელებს)

გამიშვი, ნიკოშ, ძალიან გთხოვ, გამიშვი რა, ნუ გეშინია არაფერს დავუშავებ ამ დამპალს.

ნიკო. მე რისა უნდა შეშინოდეს?! (ბელს უშვებს. სტელა გადის)

ანდრო. (დაბნეულია) არ მეგონა ასე !თუ ვაგივდებოდა...

დათო. (დამრიგებლურად) მე შენ უფრო კვიანი ბიჭუნა მეგონე..

ანდრო. (თავს იცავს) რა ვუთხარი ასეთი? ხუმრობით მოვეყვი შენს შტელა ვარე ბიოგრაფიის ერთი მსტრა ვეტი ზოდი... თუ მეც ვაგივებულოყავი კაციკამიაზე? ბოლო-ბოლო ვინ ჩემი ფეხებია, მთელი დღეა ვეფერები და ველოლიავები...

ნიკო. აბა, შე საწყალო! ბიჭო, ვინ ჩემი ფეხები უნდა იყოს სტელა, ერთი უნუგეშო ბოზანდარაა, თუ მის მღელვარე ბიოგრაფიას გადავხედავთ, შენამდე ალბათ ბევრი შენისთანა ბიჭუნა დაუვაქცეცებიან, თუ სიმართლეს თვალეში ჩაეხედავთ, ესეც მისი ერთი დიდი პლიუსია, მაგრამ, იცი, რა უპირატესობა აქვს შენთან შედარებით? სტელას შეუძლია გათხოვდეს, განა შენნაირ რწყილზე, არა, ნორმალურ, ჯანმრთელ სოციალურ ცხოველზე და ბავშვებიც გამოჩეკოს, ამით მის მღელვარე ბიოგრაფიას წერტილი დაესმება. ის ახალ ცხოვრებას დაიწყებს, როგორც არაერთხელ მომხდაბა მსგავს შემთხვევებში, ხომ გასაგებად გელოპარაკები? თუმცა ეს ყველას კარგად მოეხსენება, ძველია. შენ კი, რაც დრო გადის, სულ უფრო გვეცლები ზელიდან, როცა ხანდაბან წარმოვიდგენ, რა ახვარი იქნები სიბერეში, გული სერიოზულად მტკიცა ხოლმე.

დათო. (სიცილით) ნიკო, შენ ბოზთა დაცვის კომიტეტიდან ხომ არა ხარ შემთხვევით?

ნიკო. რა შეუშია კომიტეტი? მე ხომ ვიცი, ეს რა იქნება სიბერეში. ახლა რა არის! ერთხელ მართლა წარმოვიდგინე ლამით, საშინელ ამბებს ზომ ლამით წარმოვიდგენ ხოლმე და თავნარი დამეცა, თან ისეთი რეალური იყო, როგორც ეს ფინჯანი, ეს სკამი, ანდა ლენინგრაძის რუსულ მუზეუმში გამოფენილი ი. რეპინის ნებისმიერი სურათი....

დათო. (ანდროს) შენ რაღაც კუდად გაუჭრდი. ვსიამოვნებს არა, შენზე რომ ამდენს ლაპარაკობენ?

ანდრო. (აგდებულად) შენც კარგი ნაბიჯვარი ხარ!

დათო. ნაბიჯვარი ხასიათის თვისება არ არის. ეს კაცის ბედია, ბედს კი, როგორც მოგეხსენება, ვერსად გაექცევი. შენ ბევრად უარეს დღეში!

შენს ეტიკეტს პირდაპირ ასე აწერია: 100% ახვარი. მეტსაც გეტყვოდი, მაგრამ ესეც საკმარისია და თანაც მეზარება.

ანდრო. მე შენზე უფრო მეზარება.

ნიკო. შენ რაღა გეზარება?

ანდრო. მე ის, დათოს რომ უნდა ეთქვა და დაეზარა, აი, იმის პასუხის გაცემა მეზარება. საერთოდ, მე არ მიყვარს კამათი, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, როგორ იბადება ჭეშმარიტება. ჩემს ჭეშმარიტებას ყოველთვის ვიპოვნი თბილისში... ჭობია დაფლიოთ! დაასხი, დათო!

ნიკო. მაგას ლამაზაკი დაეზარა, და არაყს ჩამოგოსხამს?

დათო. მე ნამგზავრი ვარ, დაღლილი, ამ ნიკომ კიდევ კანფეტებით ამომამრო ნაწვალები სული, მეშინია, ბოთლი ხელიდან არ გამოვიარდეს.

(შემოდის სტელა. შესამჩნევად გამოყოფილებულია. ბიჭები თავიდან ვერ ამჩნევენ. მერე უცებ წამოიშლენიან)

უვედანი. კამ სტელა! მოდი ლამაზო! ჭეივანთ სკოლის წყარო! წინწყარო!

ანდრო. (იტაცებულად) სტელა ჭეივანთ!

ნიკო. (იტაცებულად) ანდრო ღორია! დათო. (იტაცებულად) ღორი, მომეჭივარი!

ანდრო. (ბავშვური მამიტობით) სტელა, სადნ მოდიხარ?

სტელა. მდღლარე ცრემლების აბაზანიდან.

ანდრო. კიდევ კარგი, არა თქვი განიარაღებულ ბავშვობიდანო, თორემ რა გემშველებოდა?

სტელა. როგორმე გაუძლებდით, თქვენ ხომ გძლებს ოსტატები ხართ.

დათო. (სწრაფად) სხვა თუმაზე გადავდივართ... სტელა, შეგვიძლია ყველაზე პოპულარული სასმელი შემოგთავაზოთ...

სტელა. რომელი?

დათო. არაყი, ყინული...

ანდრო. (ნიკოს) დილიდან აქა ვართ და იმ კანფეტების არ იყოს, ამ თბილი არყით რატომ გვხდი სულს?

ნიკო. ვიფიქრე ახლადგამობდილი, თბილი არაყი უყვართ მეთქი... ისე, ძალიან თუ გინდა ყინული, სამზარეულოში პატარა აისბერგი მიდგას, შედი, ჩამოატეხე...

სტელა. მე ახლა წვილა... ტელეფონი არა გაქვს, ნიკო?

ანდრო. ნიკოს ყველაფერი აქვს, რაც ტ-ზე იწყება ტელეფონი, ტელევიზორი, ტულატი...

ნიკო. საუკეთესო აზრები უნიტაზის ფიცარზე მწიფდება ხოლმე.

დათო. თავთავდებია... დაასხამ თუ არ დაასხამ, ანდრო? როდემდე გელოდო, დილაშდღე?

ანდრო. (დაცინვით) დათო, დაუსტებულა, ეშინია, ბოთლი ხელიდან არ გაუსხლტეს დაუსხი სტელა, და საერთოდ, ისე მოიქეცი, როგორც აღმოსავლელ ანუ ჭართველ ქალებს ჩვევიათ, საქმეს მიხედვე... მთელი დღეა უაზროდ დაყანყალებ, როგორ შეიძლება ჭეივანის ღროს ქალი უსაქმოდ იყოს, გაანძრიე შენი სტეპივით ვრცელი ბარაქიანი...

სტელა. (გააწყვეტინებს) დაწყნარდი და ძალიან ნუ გავრცელდები ჩემს მიდამოებში, ტელეფონი არა გაქვს, ნიკო?

ნიკო. (გაურკვეველად) არ მუშაობს.

სტელა. სერიოზულად გეკრთები, დასარეკო მაქვს, ზებოს უნდა დაუბრუნო. (თავისთვის) ზებოს სხვადასხვა ფერის საყურე ეკეთა, ჭეა ერთი იყო, უბრალოდ, დრომ შეუცვალა ფერი... როგორ მინდოდა სახსოვრად დამრჩენოდა... ვერ გაეზღე...



(ანდრო წამოდგება და კიკებს შეავსებს)

ანდრო. ესეც ასე ერთ მშვენიერ დღეს, უჩემოდ შეიძლება დაიღუპოთ კიდევ, ბიკებო. სტელა, მთელი ჩვენი ჯგუფი გაოცებულხა შენი ინერტულობით.

სტელა. (გალიზიანებული) ანდრო, რატომა ხარ ასე ფხიზელი?

დათო. (თითქოს დიდ საიდუმლოს უმხელს) უკეთ რომ გიგვრძნოს, სტელა.

სტელა. (თითქმის ყვირილით) მაშინ რაღას სვამს?

ანდრო. (დათოს ინტონაციით) სიმთვრალეში რომ გითბრას, როგორ გიგვრძნო სიფხიზლეში.

ნიკო. (ბიჭებზე ანიშნებს) ხედავ, სტელა, რა მაგარებნ ვართ? არა, უთქვევნიოდ აზრი არა აქვს ცხოვრებას.

დათო. შენსას; თუ საერთოდ ცხოვრებას?

ნიკო. ჩვენსას...

სტელა. (გულუბრყვილოდ) უჩვენოდ როგორ ექნება აზრი ჩვენს ცხოვრებას?

ანდრო. ეგ თქვენი გაქნილი და გაიძვრული აზრები ძალიან შორსაა ნამდვილი გმირული ცხოვრებისაგან.

სტელა. (კატეგორიულად მოითხოვს) ნიკო! დამარეკინე!

დათო. ანდრო, შენ თავზე თეთრი, ცელქი ქათამი გახის... ეპ, რა შორს არის ეს ქათამი ნამდვილი, გმირული ცხოვრებისაგან.

სტელა. ნიკო, გაქვს, თუ არა გაქვს ტელეფონი!

(ისმის ზარის ხმა, რომელსაც შემოპყვება სიმპათიური, კოხტად ჩაცმული კაცი)

გურამი. გამარჯობანი? (არაფინ არ ესალმება) ნიკო, გენაცვალე, შენი კარი ღიაა, როგორც ყოველთვის, ასე როგორ შეიძლება, გენაცვალე, ქვიფობთ? დამარეკინე, ჩემსას რაღაც დაემართა, გენაცვალე...

(გურამი იქით გაიწევეს სადაც ტელეფონი ეგულება. გზისპირაში ჩაიხე-

დავს, თმას გაისწორებს. ნიკო მძიმედ წამოდგება)

ნიკო. ჩემიც არ მუშაობს... შორსაა შვენიერად...

გურამი. (შეიცხადებს) არა, გენაცვალე, გავრბივარ! დღეს იმდენი საქმე მაქვს, რომ...

(სათქმელს არ ამთავრებს. გარბის)

ანდრო. (დამცინავად) ეს „უროდი“ ვინ არის?

დათო. არის ერთი...

ანდრო. მაინც?

დათო. (დამაჯერებლად) ძალიან კარგი „უროდია“

(ნიკო საფერფლებს კვლავ ქაღალდში ჩაცლის, გუნდას გააკეთებს და ფანჯრიდან მოისკრის)

ნიკო. კიდევ ერთი საჩუქარი ძია სურენას.

სტელა. რაღაც ჩამოხნელდა. მოდი, შეუქი ავანთოთ. ნეტავ რა დროა?

ანდრო. კი არ ჩამოხნელდა, მოიღრუბლა, ჩემი სიყვარულით დაბრმავებულა...

სტელა. (აწყვეტივნებს) კარგი რა, დავიღალე...

დათო. (შუქს ანთებს) რომელი საათია? თუმცა რას გკითხვობ, ეს ძველი საქანელა (საათზე ანიშნებს) რახანია არ მუშაობს.

ნიკო. მუშაობს. (საათის ისრებს გადასწევს) საღამოს 8-ის ნახევარია (კიდევ გადასწევს ისრებს) ახლა უკვე ზუსტად 10 საათია. ამ ბოლო დროს ძალიან სწრაფად გადის დრო.

ანდრო. (სიცილით) თქვენ, ბიჭო, მთავარი დრო არაყთან ერთად ჩაითქვიშინეთ...

(უეცრად საათი დარეკავს. შეკრთებიან)

დათო. (დაეკვებელი) ეს... შენ იყავი? (ტაბტზე წამოწვება)

ნიკო. პო. (ხელებს გაშლის და საათს განასახიერებს) ტიკ-ტიკ-ტიკ-ტიკ, ჩემო ნიკო, ხშირბშირად თუ დამხედავ (არაყს დაღევს. მცირე პაუზა) უფრო გულიანად, კარგ ხმაზე ვიგალობებ ხოლ-

მე: დოვინი დოვენი თქვენ მე ის გ ნუ მიყურებთ, მე ოქროს მონეტითა ვარ ნაყიდი...

ანდრო. ეგ დათოს მოუყევი, ახლახანს დაიწყო მარკების შეგროვება.

ნიკო. (ყურადღებას არ აქცევს) ერთ მშვენიერ დღეს, დილის 8 საათზე, ფილოსოფიური ქვის ძიებით გადაღლილმა ბატონმა სესიბომ ოქროს მონეტა ამოახველა. სამართლიანად ვაოცებულმა კაცმა ვერაფრით გაიხსენა, რა ღენო სვა წინადლით. მონეტა სულ ახლახანს მოჭრილს გავდა, მზისფერი, მზითგანათებული ირეკლებოდა ბატონი სესიბოს გამორეცხილ თვალებში. ოქროს ფულთან ერთად მის თვალებში ირეკლებოდა ოქროსმდებელი ვირი, მარგალიტად ქცეული ცრემლი, ბროლის ქოში, ზვიგენის კბილი, ადიხანჯალა და ილაღინის ქადოსნური ლამპარი. ბატონი სესიბო სერიოზულად დაიბნა. ბოლოს ისევ ოქროსმდებელ ვირზე აპირებდა შეჩერებას, ზომ გახსოვთ, ვირი პირიდანაც აფრქვევდა ოქროს მონეტებს, მაგრამ ნამთვრალეგზე ერთი ძალიან უცნაური ამბავი გაახსენდა. ეს ამბავი მამიდამის სქალიის შეემთხვა ამ 140 წლის წინ... (მცირე პაუზა) მან დაამთქნარა, გესმის, ჩემო ნიკო, გაიზმორა დაამთქნარა და ქარი გასტერა. რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ქ-ნი სესიბო არაფრით არ იზამდა ამას, მაგრამ იმ მომენტში ის მარტო იყო და, რაც მთავარია, ლობო, ღომი და ადენის მაჭარიც სულ ახალი ვადატანილი მქონდა. ერთი სიტყვით, დაამთქნარა და პირიდან, არცთუ ისე ახალგაზრდა ქალის პირიდან, გაზის არაჩვეულებრივი მოსასხამი გამოუფრინდა..

ანდრო. სტელა, გაიზმორე და დაამთქნარე, იქნებ გეშველოს რამე...

ნიკო. (ტხეშად) მიცალე... ბატონი სესიბო მერე დღეახანს იმტვრევედა თავს ამაზე, დამთქნარების დროს პირველად ზომ შესუნთქვა ხდებდა ხოლმე, მაგრამ ეს ჩენი ისტორიის სხვა მხარეა, თუ

არ მოვიშალე, შეიძლება მოგიკვეთ კიდევ... დედა, ბიჭო, რა მუსუსსაყურეყურე! ჰაეროვანი, თითქოს მაშინდებელი... ჯამპვირვალე, ვარდისფერი ბურუსის. გან ყოფილიყოს ნაჭსოვი. ძალიან გთხოვთ, არ შეითხოთ, ითვლებოდა თუ არა ქ-ნი სესიბო ქსოვილების საუყეთესო მცოდნედ, პირდაპირ გეტყვით, დაუფარავად: მამიდა სესიბოს ამის მსგავსი არსად, არასდროს, არაფერი ენახა საბრალო ქ-ნი მამიდა საბრალო სესიბო! ადვილია, წარმოიდგინო ჰაეროვან მოსასხამში გახვეული მამიდა, შემოდგომის სევდიანი მზით განათებულ უკანასკნელ გზაზე?

სტელა. გულსაკლავი ამბავია, მაგრამ რა შუაშია ოქროს მონეტა?

ნიკო. როგორ რა შუაშია, ბატონი სესიბო მიხვდა რომ ყველაფერი, ჰაეროვანი მოსასხამიცა და ოქროს ფულიც მათი გენის ბრალი იყო, გაიგე?

სტელა. პოო, ვერ გავიგე...

ნიკო. (ყურადღებას არ აქცევს) სხვათაშორის, ბიძია სესიბოს უდიდესი ნუმიზმატის სახელი გაუფარდა, მერე რამდენი არ ახველა, მაგრამ... (ხელებს უშწუროდ გაშლის) საბრალო ბოლოსმდე დარწმუნებული იყო, რომ მონეტა აღ. მაკედონელის ამაზიანი იყო, მოჭრილი კარლოს დიდის პატრესაცემად. სწორედ იმ მონეტითა ვარ ნაყიდი მეც... (პაუზა) ასე რალაცნაირად მოვხვედი ამ სახლში, ანუ შენთან ნიკო.

(უცებ ცალ ხელს სწრაფად დაატრიალებს)

ეკ, მარადიული არაფერია ამ ქვეყნად, ტოკ-ტოკ-ტოკ-ტოკ-ტოკ, მეც გაუფუჭდი, მოვიშალე, ვტრიალებ, ვაგრობივარ სულ ამაოდ და აღარ ვიცი, რატომ ვტიკტიკტიკებ... ვშვები ამას... აღმათ იმიტომ, რომ შენ ტვირთი არ გემიმოს, მე ზომ ვიცი, რა ძნელია ყველაზე მძიმე ტვირთის მარტო ტარება..

დათო. (სიბრალებლით) ნიკო, როგორ მიხვედი ამ სიგიჟემდე?

ნიკო. სულ მანდ არ ვიყავი?
დათო. (ძალად გაიოცებს) სად მანდ?
ნიკო. (ხელებს უღონოდ ჩამოყრის) კედელზე.

ანდრო. რადაც ისრებნამოყრილ საათს დაემსგავსე. (დათოს) საბედნიეროდ ჩვენ უკითხ მისი ეს თვისება. ისე, უფროსი ძიებთ ამბობენ ყველაზე მძიმე ტვირთი ძმაკაცის ხელით, თურმე რაც დრო გადის, სულ უფრო სასიამოვნოდ მიჰმდებარებს...

ნიკო. ეგ პირველყოფილი ფიზიკის ძველი კანონია.

სტელა. (დაფიქრებულია) ძალიან კარგი ამბავია, მაგრამ უკრთა გაუგებარია.

ანდრო. შენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია ნუმისმატიკას. ძლივს გავაჩერეთ, ნუ დააწყებინებ თავიდან...

დათო. ყველაზე მძიმე — ძმაკაცის ხელია ყველაზე ტბილი — მეზობლის ქალი, რომელსაც ხელი არ უნდა ახლო, მხოლოდ ახლოდან უნდა უყურო, საერთოდ, უფროსებს ნუ ახსენებთ თუ ძმა ხარ. შეიძლება შემოვიდნენ და რამე კარგი წამოსცდეთ ჩვენზე, უხერხულია, როდემდე უნდა გვაქონ ასე უმიზეზოდ?

(პაუზა. შემოდის „უფროსები“. ეტყობათ კმაყოფილები არიან, სიყვარულთა და სიკეთით სავსე მზერით უყურებენ ყველას. ერთ-ერთი მათგანი ამბობს: „არა, ძალიან კარგები არიან ყველანი, ძალიან კარგები!“ სხვები უხმოდ ეთანხმებიან, ღიმილი უცისკროვნებით სახეებს. ნელა გადიან)

ნიკო. (გულდაწყვეტილი) ეპ, რა ამბავი მოგიყვებით. თქვე საწყლებო, როგორ არ მაფასებთ. როდემდე ამირებთ: ასე უმიზეზო უბიძგებრებას? (ისმინ ვაბმულ ნარი. შემოდის ბეჟანი)

ბეჟანი. ისინი ერთ ოთახში ისტანდენ და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ! ეპ, გამრავლებულხარ უკლებს! გამარჯობათ! ეს თაფლის კვარავით ტბილი გოგონა ვინ არის? (ხარბაკებს)

ნიკო. (ბეჟანს მიუახლოვდება, ხელს მოჰკიდებს) მოდი, დაჭექე, ბეჟანი! ლიან წინ წასულხარ, ძმაკაცო!

(ბეჟანი სკამზე დაენარცხება. სტელა ფანჯარასთან მივა და იხედება. უხერხული დღმილი ჩამოვარდება. ბეჟანი სწრაფად წამოდგება და სავარძელში გადაჭდება)

ბეჟანი. აი, ასე უკეთესია... პაპიროსი არა გაქვთ? (მცირე პაუზა) ქალიშვილო, მართალია, მრავლისმეტყველი ხურგი გაქვთ, მაგრამ იქნებ მაინც შემოტრიალებულიყავით ჩვენს წიაღში, რამდენ სასარგებლო წიაღისეულს შემოგთავაზებდით, რომ იცოდეთ...

(პაუზა. ნიკო ბეჟანს ანთებულ სიგარეტს მიაწვდის. ანდრო ოთახში დაიწყებს მოძრაობას, შესამჩნევად ნერვიულობს)

ფოტოგრაფი! ერთი სურათი გადავიღე, რა! ქვეშაც მიაწერე; ფოტო-არტო!

ნიკო. (ნერვიული სიცილით) ბეჟან, შეგას დათო ჰქვია.

ბეჟანი. მაშინ მიაწეროს ფოტო-დატო, სულ ერთი არ არის?

დათო. (ხმადაბლა ნიკოს) ახლა მოვკლავ ამ საწყალს! მერე მე „სროკზე“ წავალ და ეს კიდევ საქალიტ. ისტორიაში შევა, როგორც უსამართლოდ და უდანაშაულოდ მოკლული შემოქმედი.

ბეჟანი. (დაცინვით) შე პოეტების მკვლელი! თან — ფოტოგრაფი, თან — მკვლელი! ამაზე დიდი საშინელება რაღა უნდა იყოს?!

ნიკო. (მკაცრად) კარგი, ბეჟან, გეყოფა! თქვენც რა დაგემართათ, პირველად ნახეთ მთვრალი კაცი?

დათო. (გაკვირვებული) მთვრალი კაცი?!

ნიკო. მოდით სუფრასთან. ბეჟან, ეს ანდროა, დათოს — იცნობ. სტელა! მოდი, რა! (ჭრქებს ავსებს. სტელა მაგიდას მიუახლოვდება)

ბეჟანი. (სტელას ახედავს) აი ასე, გენაცვალე, გამახარე...

სტელა (თავისთვის) ესლა მაკლდა. Уверенный псих... (დაჭდება)

ბეჟანი. (ყალბად იცინის) ჰა, ჰა, ჰა, ძალიან კარგია, მეც რუსულად გეტყვი.

ანდრო. (ნერვიულად) მიდი ერთი, გვითხარო!

ბეჟანი. (ანდროს დააქერდება) შენ... რა შუაში ხარ?... ააჰ, (მიხედება) გასაგებია, სიამოვნებით, მოიცა, მე ვინა ვარ?... ზო, შენ ზარ... Умеренный псих, შენ კი, ლამაზო — Скучная ведьма, რა სამეულია! (შემრიგებლურად) ძალიან გთხოვთ, არ გამობრახდეთ, თორემ ბიჭები იფიქრებენ, ზემრობა არ ესმითო... ახლა მე თქვენს სადღეგრძელოს შევსვამ (წამოდგება, მაგიდას დაეყრდნობა. ნიკო კიქას აწვდის)

სტელა. (აგდებულად) დიდად დაგვაკლებთ.

დათო. (დაიცნვით) თქვენ გიყვართ არაყი ვინა? ზო, კარგია... ერთნატიელს წარმოაქმნის ადამიანის უსწორმასწორო ზედაპირზე, შიგნითაც...

ბეჟანი. (გულახდილად) შენ ნიკიერი კაცი ხარ, დათო, მაგრამ მე არ მიყვარს არაყი. მე შენ მიყვარხარ, ესენი მიყვარან... განსაკუთრებით კი (ანდროს შეხედავს) მიყვარს, როცა ყბებზე „მუსკულესს“ ააბამაშებენ ზოლზე... გაგიმარჯოთ! (სვამს)

ანდრო. (გველიანად) კბილების კრატენი თუ გიყვარს, ბეჟან?

ბეჟანი. ეგ მაშინ, როცა ჩაძინებულ კიან ადამიანებს ეუყურებ, ანდა — როცა ცნობილ სიმღერას ვუსმენ. მართლა, ზომ არ გვემღერა სიმღერა ქყინტკველზე? (ვაზოდან კანფეტს ამოიღებს. საექვოდ ათვალერებს)

დათო. (ირონიით) შენ თვალის ჩალო კიქა არ უნდა დაგვიღია.

ბეჟანი. (ყურადღებამ არ აქცევს) კარაშელი — „იდიოტი“, სიგარტი — „შემოქმედის ნაფაზი“, ატროპილიტი — „ზარმაცის სიზმარი“, არაყი — „ბოლო კიქა არ უნდა დაგვიღია“.

(კანფეტს გახსნის და ხმაურით შე-

ექცევა. სტელას მიმართავს) ძალიან უცნაური არსებები ხართ, ქალებო! მე მყავს ერთი ნაცნობი ქალბატონი, მას ძალიან, თქვენსავით ლამაზი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან ჭკვიანია. ერთხელ დამირეკა და ასე მითხრა: (ბაძავს) ბეჟან, დღეს ბზობაა, დიდი დღესასწაულია, ფიზიკურად არ უნდა იმუშაო; მაგრამ თვითონ სასოწარკვეთილი იყო, თურმე დილიდან ისეთი საზიემო განწყობილება დაუფლებია, რომ თავი ვეღარ მოუთოკავს და პლასტიკისაგან გუბურა და შიგ მოსრიალე იხვევები გამოუძერწია. ტელეფონში მოსთქვამდა, ღმერთო რა ცოდვილი ვარო...

სტელა. (ირონიული თანაგრძნობით) ღმერთო ჩემო, თქვენ როგორღა მოიქეცით?

ანდრო. (იგივე ინტონაციით) რა გულუბრყვილო ხარ, რა თქმა უნდა, დამშვიდა, როგორც შეეძლო.

დათო. (თავისთვის) ზო, დაამშვიდა, იმ დღეს ერთი გალონი სპირტი დალია.

ბეჟანი. (იცინის) ნიკო, ჩამოასხი ძმო, შენი იმედილა მაქვს, თორემ ამთ ყბაში ჩემი მტერი ჩავარდა, ხომ ზედავ, სამნი ერთზე მოდიან, ეეჰ, სადღა ჩვენი ქართული, ძველებური ვაეკაცობა! (ნიკო კიქებს ავსებს)

ამას წინათ, კახეთში ვნახე „პაპის იმედი“ — პატარა ბიჭი, გრძელი თოკით მიბმული ბოძზე. თოკი რომ მოეხსნათ, ეს რომ ავუშვათ, მთელ ქვეყანას ამოავლებსო — ასე ამიხსნეს...

დათო. ბავშვს თურმე, წინ ჯამით წყალიც ეღვია...

ანდრო. და იქვე საკენკიც ეყარა...

ბეჟანი. (კიქას აიღებს) „პატარა ჩიტი ჩამოვდა ჩვენს გემბანზე დასასვენებლად. ენკავდა პურის ნამცეცებს და ფინჯნიდან სვამდა წყალს. სადამო ეამს მიგვატოვა და აღმოსავლეთისაკენ გაფრინდა. მე თან გავატანე თხოვნა, მოესალმე-მეთქო კავკასიის შიგნის მდინარეთა დაბურულ ზღობებზე, სადაც ვეფხვები იკლავენ წყურჩილს. მიე-

სალმე-მეტეი ქალაქ ტფილისს და ჩერქეზეთის ლამაზ ასულებს... (პაუზა)

სტელა. (მორიდებით) თქვენია?

ნიკო. არ ვიცი ვისია, მაგრამ მივესალმები ქალაქ ტფილისს და ჩერქეზეთის ლამაზ ასულებს (სვამს) ისე, მართლა ვისია?

ბეჟანი. რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, უკვე იცით... არა, თქვენ არაფერც არ იცით... (სვამს, მაგრამ ეტყობა უპირს. ნელ-ნელა უფრო მაგრად უნდა მოეკიდოს სისმელი)

სტელა. ძალიან პოეტური იყო...

ბეჟანი. ჩემო კარგო, როგორც კი ოდნავ ასცდები მიწას, მაშინვე პოეზია იწყება. ასე რომ, შეგიძლია შეხტე და შეითამაშო — გათავებულია, პოეტი ხარ! პაერში ყოფნის დროს მაინც... ახლავე გაჩვენებ (წამოდგება და ცდილობს „შეხტეს და შეითამაშოს“. იტაკებ ეცემა. ნიკო და დათო წამოაყენებენ)

ახ, ზუსტად ასე უნდა...

სტელა. პოო, გასაგებია.

ანდრო. არ გინდა, ნუ დაუჭერებ, თორემ შეიძლება გაირყვნა, ჩემო ცუნ-ცულავ.

ბეჟანი. ნიკო, ერთიც დამისხია...

ნიკო. ბეჟან, აღარ გინდა, ხომ იცი, შენთვის არაფერი მენანება, მაგრამ ახლა ნაღდად არ გპირდება...

ბეჟანი. ჭერ ერთი, არ ვიცი, მეორეც, არც მე მენანება ჩემთვის არაფერი და მესამეც — მპირდება.

ნიკო. (უშფეოდ გაშლის ხელებს) კარგი, ძმაო, მე ჩემი ვიზიარო...

დათო. დაუსხი, ნიკო, ეგ ჭიკა დააძინებს კიდევ ჩვენს ბეჟანს...

ნიკო. აჰა, ბეჟან (უსხამს) როგორ დააძინებს, იმასაც ნახავ, ჩემო კარგო ფოტოგრაფ. შენ ჭერ არ იცნობ ჩვენს ბეჟანს...

სტელა. ეს სულ ასეთია?

ანდრო. რაში გაინტერესებს?

ნიკო. არა, სიფხიზლეში ცოტა უკეთესია, ან პირიქით...

ბეჟანი. (თავი აქვს ჩაქნდრული) ჩვენ ვაშლის გასათლელად გვეყვებოდნენ და დანა. მაგრამ დანა არცდღეს მოვღებავ. ყოველად უაზროდ იხედება.

ნიკო. (მხარში ამოუდგება) მაშინ ჩვენ...

დათო. ვინ თქვენ?

ბეჟანი. მე და ევამ... ავიღეთ ალუმინის კოვზი, სალესი ქვა და ჩაქუჩი. ჩაქუჩით მაგრად დავტყუყეთ კოვზი და სალესი ქვით აღმასივით ავლესეთ. ახლა გვექონდა დანა, ბასრი, როგორც შაქრის ნატეხი ქაფქაფა ფაფაში.

დათო. კოვზი? ბეჟან, კოვზს რაღა მოუხებრებ?

ბეჟანი. (თვალდახუჭული დგას. ქანაობს). კოვზი ალუმინის კოვზისაგან გაკეთებული დანით გამოვთალეთ ვაშლის ხისაგან... (ნიკო ძალით ჩასვამს ბეჟანს სავარძელში. ბეჟანი თითქოს დაწყნარდება, სხვები მაგიდას შემოუსხდებიან)

დათო. აუუ, ეს რა მაგარი ყოფილა.

ნიკო. შენ რა, ვინმე გეგულება იმ ქალაქში, სიმთვრალეში რომ არ ერეკებოდეს?

ანდრო. კი, მაგრამ ეს ნამეტანია...

(მოთლოდნელად ბეჟანი წამოფრინდება, სავარძელს გადააყირავენს. ყველანი წამოიშლებიან. სტელა შიშისაგან კუთხეში მიიყუყვება)

ბეჟანი. (ცდილობს სავარძელი გაასწოროს) არაფერი არ იცით... რა გინახვით ამ ქვეყნად (სავარძელს თავს დაანებებს; ოთახში დაიწყებს მოძრაობას) პირამიდები? თუ აისორების ბებერი აქლემები? იქნებ ძველი ამფორა ნახეთ, ორნამენტებით აჭრელებული?.. თქვენთვის, თორემ მე რად მინდა, მე ხომ ასი წლისა ვარ... (ცდილობს ჭიკა აიღოს, ნიკო ხელს გააშვებინებს. ბეჟანი ხელს ჰკრავს) გაიწი... 11 წელი გავიდა ზუსტად... ჩემმა მასწავლებელმა ის ზეწარი მანუქა, რომელშიც მრავალი უძილო ღამე გაუტარებია (ცდილობს გაიცინოს) 11 წელია ბინძურ და ველურ თამაშებს თ-

მაშობენ... ბავშვთა თამაშების აკადემია. მათი თვალები სიბნელეში — მარადიული საიდუმლო... პერიზაქი „უღაროო ცეკვა“, რადგან აღარ არიან მეფეები, ოქროს თევზები და სამოთხეები... ბოლო მეფე კებოში ნამგალა მთვარესავით იწვა, ვერ გაასწორეს გაყინული ბერიკაცია... წითელი თევზებად ირეკლებოდა მზე აუზებში (ოთახში) დაბორიალობს და ნივთებს ეჯახება. ნიკო და დათო უკან დასდევენ. ანდრო სტელას გადახვევს ხელს) ყველაფერი ქარმა დაიწყო... მზის წლის პივილივი დღეს მოიტანა უკვე მკვდარი ფოთლების განცდა... მზე და ჩიტები — საკუთარი თავისთვის გამხელილი (საიდუმლოა (ცდილობს ზურგს უკან მყოფ ნიკოს გაანდოს რაღაც. ჩურჩულებს) ეს ბედნიერებაა, არ დაგავიწყდეს. ნაკვთები მტერიან მინაზე დაბატული უხამსი წახატივით... სამაგიეროდ გაზაფხულის ბალი ადამიანურია იქ სიცოცხლე ქუჩის ერთ მხარეს უსიყვარულო უმოძრაო გულგრილი შემაწვთებელი სხვაობა სხვა სამყაროებთან შედარებით სიბერე უკეთესი პერსპექტივაა იქ უფრო ცხელი ვიდრე გგონია...

(მოულოდნელად ბოთლს აიღებს და მთელი ძალით დასცეხს ნათურას) სცენა ბნელდება.

იგივე ოთახი, სტელა სავარძელში ზის. ანდრო ფანჯრიდან იხედება.

ანდრო. წვიმა დაიწყო...

(შემოდის ნიკო. ბორჯომის ბოთლები შემოაქვს. ანდრო შემობრუნდება)

ნიკო. გაწვიმდა, ძლივს შემოვასწარი. ბორჯომი მოვიტანე. (ბოთლებს გადასეხე დაიწყობს)

ანდრო. რა ქენით? საკმარის მალე მოხვედია.

ნიკო (მშვიდად) მივიყვანეთ. მანქანათმქმის სადარბაზოსთან გაეჭირეთ.

ანდრო. დათო რა უყავი?

ნიკო. სანლში ავიდა. მოვა ცოტა ხანში, რალაცებს მოიტანს, მთელი დღეა მშვირები ვართ.

სტელა. მე ძალიან შემეშინდა. ნიკო. არაფერია. ამ ბოლო დროს სასმელი სიმხნევეს კი ვერ მძებნებოდა ტომლაც პირდაპირ ათავყვანებს ადამიანს.

ანდრო. მაგრად აფრენს, ძმაო...

ნიკო. (ბორჯომის ბოთლს ხსნის) კარგი, მოვრჩეთ... (კარადიდან კიქებს გამოიღებს და შეაქვს) არ გინდათ? (სულწოუთქმელად დაკლოს კიქას) აუუუ, კარგია!

სტელა. შემეშინდა, დავიღალე და მომწყონდა. მოდი; სტუმრად წავიდეთ, ან რამე გაჯაკეთოთ; ნიკო, მომწოდებო, ბორჯომი, (ნიკო უწყდის)

ანდრო. ამაზე უკეთეს ადგილას სად წახვალ, თან სტუმრადა ხარ ჩიკუშასთან სხვენზე, თანაც მთელი დღეა, რამეებს აკეთებ. ჯერ მარტო ბეჭანას უყრება რად ღირდა!

სტელა. დათოც უნდა მოვიდეს...

ნიკო. (რალაცას იხსენებს) რამე ვაკეთოთ, რამე ვაკეთოთ... ანდრო, მოდი მომეხმარე, ახლა ჩვენ რამეს ვაკეთებთ

(ამოდგება. ანდრო ეხმარება. უაზროდ მოძრაობენ ოთახში. მათ ფანტაზიაზე დამოკიდებული, რას მოიმოქმედებენ) ასე, კარგია, ნელა ფრთხილად... სტელა ადექს (სტელა წამოდგება) ახლა აფწიოთ!

(ასწევენ „რამეს“ და მაგიდასა და ნათურას შორის „დაამაგრებენ“) გადასარევი!

ანდრო. (ცმაცოფილი) რა მაგარი რამეა პა?

(ალტაცებულები შეაკერებებიან ერთმანეთს)

ნიკო. ახლა რამეს გაშვებოდა დაგვრჩა, აბა, დავიწყეთ!

ანდრო. (შეშინებული) ფრთხილად, რამეს რამე არ მოუვიდეს! „რამეს“ დაატრიალებენ და ასანთით ცეცხლს მოუკიდებენ)

ნიკო. (ყვირის) გაფრინდა! დედა, ბიჭო, როგორ გაეზარდება დათოს! ანდრო. აუ, რას წავიდა! (დამშ-

ვიდებდა) ხომ არ დაემსხდარიყავით? ცოტა ძნელია, რამეების კეთება, რას იტყვი?

ნიკო. გეთანხმები.

(სკამებზე დაენარცხებოდა)

სტელა. აღარ შემიძლია. თქვენი ყურება. (საეარძელში ჩაჭდება)

ანდრო. ეგ იმიტომ, რომ შენ სულ ბეჯანასკენ იყურები.

(წამოდგება და სტელას ოთახის სიღრმისკენ წაიყვანს, ხელეჭს ისე შემოხვევს თითქოს ეცეკვება. რაღაცას თხოვს თუ უმტკიცებს)

სტელა. (გაბრაზებული) არა!.. ხომ არ გააღრინე?! თავი დამანებე!

(მკვეთრად გაინთავისუფლებს თავს. მერე თავის ჩანთიდან სისხლისფერ პომადას ამოიღებს, სარკესთან მიდის და ტუჩებს იღებავს. ანდრო ტახტზე ჩამოჯდება)

ნიკო. სტელა, როგორმე ძალას მოვიკრებ და დიდ სარკეს გაჩუქებ, შენ მთლიანად უნდა ჩანდე სარკეში.

სტელა. დიდი მადლობა. მე მივდივარ.

ანდრო. (გალიზიანებული) თუ გგონია, ასე გალამაზებულს გვერდით გამოგყვები, ძალიან ცდები.

სტელა. (დაუდევრად) ნიკო გამოწყვება.

ნიკო. (დათოს ბაძვს) მე ნამგზავრი ვარ გადადლოლი და ძალაგამოცლილი, მეშინია, ბოთლი ხელიდან არ გამოვივარდეს.

ანდრო. (სერიოზულად გაბრაზდება) ვერა ხვდები, იაფფასიან „პუტანკას“ რომ დაემსგავსე?

სტელა. (აგრესიულად) არავისი საქმე არ არის, ვის დავემსგავსები. შენ რა გინდა? შენი ცოლი ვარ, შენი მონა ვარ, თუ ვინ გგონივარ? როდის აქეთ გაეხდი შენი პირადი პროსტიტუტკა? თუ გგონია, შენი სიმთვრალეებისათვის და მერე „პაზმელიებისათვის“ მოვედი აქვეყნად?

ანდრო. (აგდებულად) რა გინდა, ცუდია?

სტელა. (მოთმინების ფილა ევსება)

გადასარგვია! თანაც ისე, რომ ვინმე არ გადაგვეყაროს, არ დაგვიწყვეტოს! რემ იტყვიან ანდრო ბეზებში! დაეძახოს... მე სხვა არაფერი მომელოხვება, შენ რაც გინდა, ის უნდა აკეთო! ღილაპარაკო, თუმცა რა გაქვს მეგობრებთან დასამალი? რა გინდა საერთოდ ჩემგან?

ანდრო. (ზიზლით) მოკეტე, შენ იღე დაე ვატირე...

სტელა. (ისტერიულად) არა! არა! არა! ნიკო. (ირონიით) სტელა, ლამაზო, ნუ გაგაფრებები, თუ შეიძლება, შენ ხომ არ გყუთენი სცენების მომწყობს ოსტატ ქალთა კატეგორიასკა.

სტელა. (გაიცინებს) რა თქმა უნდა. (დამშვიდდება, სახე გაუცივდება) მე ხომ ძალიან კარგი აღამიანი ვარ, თანაც კეთილი ნების თამაშების მიანაწილვე გახლავართ...

(დარჩენილ არაყს ჩამოისხამს. ჭიქა ხელში უქირავს და ისე მოძრაობს ოთახში)

მაშინ უკვე აღარავინ მყავდა, არც ბებო, არც მამა... მძა საერთოდ არ მყოლია, არ ვიცი, დათო, რატომ მოგატყუე (ილომება)! ასე გამოვიდა... (თვალეში აენთება. ნერვიულად) უკვე ძალიან თავისუფალი და იი, ასეთი ვიყავი (ტუჩებიდან პომადით მთელსახეს მოითხუპნის) მზიარული და ყოჩაღი... და მეგონა, რომ ჩემმა ბიჭმა მიპოვნა, ცოტა ხნით მაინც (გაიცინებს)... მე არა ვარ პრეტენზიული... (თავისთვის) ცუდად ვხდებოდი, როცა დავინახავდი, ქუჩებში მინდოდა ბოლმე მეყვირა ამისი სახელი... მერე უცებ ჩაეშვა, ისე სწრაფად, თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, თუმცა რაც მოვასწარი, ისიც საკმარისია ამის თავესუფლება — სითავხედვე; მეგობრობა — გამორჩენა, სიყვარული... სიყვარული — (გაცხარდება) იი, სიყვარული მტრანწს აწვენებს, მერე არაყს დალეფს. მცირე პაუზა) ასე არ არის, ჩემო გვირგვინოსანო! მგარამ ეს ყველაფერი ადვილი გადასატანი

(ქიქას დადგამს) ესეამდით ერთხელ, მე და ეს, ამასთან სახლში, ამის ოთახში ვიყავით ჩაკეტილები, კარგად ვიყავით, მუსიკას ვუსმენდით და ვკოცნაობდით, ხელს არავინ გვიშლიდა. მერე ამის მუწუცებიანი ძმა მოვიდა, თან თავისი ლამაზი ლაწირაკი ამხანაგი მოიყვანა. იმათაც დალიეს... ასე ვიყავით, სანამ, სანამ... (ხაზგასმით მოულოდნელად ანდრომ ღრმა, გულსძილით არ დაიძინა. შეიძლება დღესაც დაეძინოს, ამის შემდეგ ალბათ გადამწყვეტ წუთებში ზშირად დაიძინებს ხოლმე! მაგრამ ეს (ნიკოს შეხედავს) ჩვენი ისტორიის სხვა მხარეა, თუ არ მოვიშაღე, შეიძლება მოგიყვეთ კიდევ...)

ანდრო. (სრული გულგრილობით) სულ ეს არის? მეტი არაფერი გაქვს მოსაყოლი? ამბავს დასასრული უნდა ჰქონდეს ჩემო სიცოცხლევ...

ნიკო. (თავისთვის) ჰმ, თავისი ნაბიჯვარი ძმა მოგიქსია? ეს ანექსია!

სტელა. (თავს ველარ იკავებს) რა უნდა მქონდეს? ის, რომ შენი ტყბილი სიზმრების ფონზე შენი ძმა შემომიჩინდა? თუ ის, როცა (ხაზგასმით) ვერ გაიღვიძე, წივილ-კივილი არ აეტყებ? რომელი ეპიზოდი უფრო გაინტერესებს, (გაგიყვება) ბრძოლის, თუ მერე, როცა აღარაფერი შემეძლო და აი, ასე რომ გავიხადე.

(დააპირებს გახდას. ნიკო წამოვარდება და ცდილობს გააჩეროს. იბრძვიან)

ჰო, გავიხადე, ჩემით გავიხადე... ნიკოს) გამიშვი!.. მერე ბიკებმა შარვლები რომ გაავსეს, მე აღარ გავჩერდი, ძალით დავუწეკი, ძალით ვთხრიდი ძუძუებს პირში, მაგრამ შენ, შენი ძმის მუწუცები კი არ გაღელვებს, მეორე ბიკზე ცოფდები, მეორე უკვე მაგარი ბოზობაა... (პარალელურად: ანდრო ტახტიდან დგება და ნელა უახლოვდება სტელას, რომელიც ნიკოს უჩინდან ყავს გაკავებული. მოულოდნელად ნიკო ხელს უბიძგებს სტელას და ისიც ანდ-

როს ჩაებუტება. ასე ჩაებუტებულები დგანან კარგა ხანს, ერთმანეთს მუხსუნებრიან)

ანდრო. (გინების კილოზე) წადი, დაიბანე...

(ნელა ცოლდებიან ერთმანეთს. სტელა კარისკენ მიდის. კართან მისულს ანდროს ხმა ეწევა: სტელა, შეჩერდებო! სტელა, იმ დღეს მე მართლა დაშეძინა.)

(სტელა შემოტრიალდება. უცნაურად გაიღიმებს, ამ ღიმილში დაცინვაც არის, ზიზღიც და ა. შ. გადის)

ნიკო. (დამცინავად) შე არ ვიცოდი, ასეთი მზავარი თუ იყავი.

ანდრო. (დაფიქრებულია) გჭერა სისულელის?

ნიკო. იცი, რა ვქნათ? შენ და სტელა აქა ხართ, შენი ძმებიც მოვიყვანოთ, მერე თქვენ თქვენი ვერსიები მოყვეით, მე მსაჯული ვიქნები და ნაღდი რასემონი გამოვია. (სინანულით) თუმცა არა, იქ სხვა რალაცებთან ერთად მკვლელობაც ხდება.

ანდრო. მართლა გჭერა, ბიჭო, ამ ყველაფრის?

ნიკო. (ნახევრად ხუმრობით) ჯანდაბას ჩემი თავი, მე ხომ გულუბრყვილო კაცი ვარ, რა უნდა ჩემს მოტყუებას, მაგრამ შენ რომ ჩასირილი გაქვს, იმას რა ვუშველოთ? ახლა მაგას უნდა მიხედვა, ეგ არის ჩვენი მთავარი საზრუნავი. თავი ხომ არ მოვიტყუოთ? ასეც შეიძლება. მაგრამ თუ დღესაც აპირებ ჩაძინებას, ეგ სერვიოზული საქმეა, ოღონდ დათო რომ მოვა, მერე, შენ და სტელა ხომ ორ-ორს ხართ მიჩვეული... (მცირე პაუზა. სერვიოზულად) მე ვერც ჩემს ძმის ვაჰიტობდი ამას, ვილაყას — მითუმეტეს. დარწმუნებული ვარ, გაღვიძებისთანვე გალაზე სტელა და გააგდე. მერე თქვენ სამა...

ანდრო. (ირონიით) ჩემი ძმა უნდა გამოეღახა?

ნიკო. (ყურადღებას არ აქცევს) შენ და იმ ორმა ნაბიჯმა დილაღე სვით.



არა, ასეც უნდა ყოფილიყო, სწორად მოიქეცით.

ანდრო. თუ მოგწონს, დაელაპარაკე... (გალიზიანდება) უარს არ გეტყვის, სტელა ჭიკარია

ნიკო. რომ წავიდეს? სამუდამოდ ფეხებზე რომ დაგიკიდოს?

ანდრო. მაგას რა ჭობია, ჯანმრთელ სოციალურ ცხოველებს რა გამოლევს დედამიწის ზურგზე...

ნიკო. მე სერიოზულად გეუბნები...
ანდრო ხომ გითხარი, შენ თუ გინდა, დაგიტოვებ, ძმაო!

ნიკო. მე, რა თქმა უნდა, მესმის, რომ არსებობს თავიდან მოცილების სხვადასხვა გზა და ხერხი...

ანდრო. (ყვირილით აწყვეტინებს) რით ვერ გაიგე, რომ მიყვარს, (წამოხტება) უბრალოდ, ვერ გადავაბიჯე ჩემში რაღაცეებს, გესმის? ასე მირჩევნია

ნიკო. (გაკვირვებულად) შენ რა, იცი სიყვარული, ჩემო გვირგვინოსანო? მე რე ასე ვირჩევნია, შენ, შენმა ძმამ და იმან? პირველსავე დათრობაზე ხომ დაურქვე? მერე ისეც გალახე და ა. შ. ასე არ არის, ჩემო პატარავ? (წამოდგება) ბავშვივით თავზე ხელს გადაუსვაშ?

ანდრო. კი.

ნიკო. აჰ ხელი არ ახლო, თორემ თავს გაგიხეიქვავ, მე თუ არა, დათო გაგიხეიქვავს.

ანდრო. (გაბრაზდება) დათოთი რას მაშინებ, ცემა რომ მდომოდა, აქამდე გაეღაზნავდი.

ნიკო. უკვირებოდა გეშლება? თუმიცა რა უნდა ნერვების აშლას? შენვე არ დაიწყე ეს ყველაფერი? სტელას კბენა თუ გინდა, ვინ გიშლის, სადაც გინდა იქ უკბინე. სტელას ისტერიკებილა მაკლდა აქ, და კიდევ შენი ძალიად მშვიდი, დამკინავი სიფათი, ხომ ვიცი, შიგნით რაც გიდულს, ხელის დარტყმაც მხოლოდ მაშინ შეგიძლია, როცა გათიშული ხარ, ისიც ჭალს თუ... (მოულოდნელად ანდრო მთელი ძალით გაარტყამს ხელს. ნიკო დაბარბაცდება

კედელს მიაწყდება. ყურს ხელს იკიდებს. ანდროს საშინელი ეჩვენება (ოცავს)

ნიკოლით

ანდრო. (თათქმის ტრილით) ნიკო, ნიკო... ჩემდაუნებურად... რა მომივიდა... (უახლოვდება. ნიკო ხელს კრავს)

ნიკო. (უდიდესი დამაბუფოების ფასილით) ნიკო...

ანდრო. (ხანჩაიწყდარი) ნიკო, ძაბატიე!

ნიკო. (აგრესიულად) როგორ გაბატიო, გითხრა, მიბატიებია, ოღონდ მეტს ნუ იზამ შეიქი?

ანდრო. არა... არ ვიცი, თუ შეგიძლია მიბატიე...

(ნიკო არ პასუხობს. გივივით დადის ოთახში, რას ეცეს არ იცის)

ანდრო. (განადგურებული) კარგა, წავალ მე...

ნიკო. (ყვირილით. გაგიკებულად) სად წახვალ? არსად არ წახვალ! ახლა მართლა არ გადამრიაო. დაეტიე, სადაც გდისხარ!..

ანდრო. (პანიკაში. სწრაფად) მაშინ... მოდი დათოს მოსვლამდე... მოიცა სტელას დავეუქახებ...

(სასწრაფოდ ვაგარდება ოთახიდან. ნიკო სარკესთან მიდის, ყურს ისინჯავს. ნელ-ნელა ელიძება, მერე ისტერიული სიცილი აუტყდება. უკებ შეწყვეტს სიცილს, შემოტრიალდება და მთელი ძალით ამოარტყმს სკამს ფეხს. სკამი გადაყირავდება. ნიკო გარეგნულად თითქოს დამშვიდდება, სკამს წამოაყენებს, ბორჯომს დაღევს. მერე საფერფლეს ფურცელში ჩაიკლის, გუნდას გააკეთებს და ფანჯრიდან მოისვრის)

ნიკო. (ირონიით) ნეტა ვის მიდამოებში ვრცელდება ახლა ძია სურენა? (შემოდის ძია სურენა. ფიროსმანის „მეუზოვე“-ს ფორმა აცვია, ხელში ცოცხი უჭირავს)

ძია სურენა. (გაკვირვებულად) თქვენს გადაყრულ ნაგავზე არ გეტყობათ, რასაც ვამთ?

სცენა ბნელდება